პროლეტარებო უგელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 286 (11592)
ოთხშაბათი
9
დეკემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს ნომერში:

რით ეგეგეგით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს?! (1-ლი გვერდი).
გულითადი შეხვედრები. ნ. ს. ხრუშჩოვი იმიერკარპატში (1-ლი გვერდი).
პარტიულ კონფერენციებზე. — **მ. ხეთაგური.** — გამოუყენებელ შესაძლებლობათა რაიონი. **გ. ნოდია.** — საშუალო დონეზე დაბლა... (მე-2 გვერდი).
შვიდწლედის ფონდში. — მილიონები... მილიონები! (მე-2 გვერდი).
შ. ჯავახაძე. — აგიტპუნქტი მოქმედებს (მე-2 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — **ერ. ბურჭულაძე, ჭ. ანთაძე.** — ისტორია ასე მოგვითხრობს (მე-3 გვერდი).
რ. ჭორჭია. — ფიქრები სახალხო თეატრზე (მე-3 გვერდი).
უცხოელი მეცნიერები — ქართველოლოგები (მე-3 გვერდი).
წერილი რედაქციას. — არა, ეს ბიუროკრატიზმზე მეტია! (მე-3 გვერდი).
პ. ჭიოკაძე. — ადამიანის სულის ჯალათები (მე-4 გვერდი).

რით ეგეგეგით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს?!

სიტყვას ნუ გავტეხთ, ამხანაგებო!

თავისი ძალისა და ძლიერების განვითარების ზენიტს მიაღწია ჩვენმა მრავალეროვანმა სოციალისტურმა სამშობლომ. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ. სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღავსებს ჩვენს გულს იმის შეგნება, რომ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული, წარმატებით ხორციელდება. შვიდწლედის პირველი წლის ზღუდეები არა მარტო აღებულია, არამედ გადალახულიც არის. ამას მოწმობს სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულებისა და შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ციფრები, რომლებიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვთ საქართველოს სოფლის მშრომელებსაც. მიმდინარე წლის გაზაფხულისა და ზაფხულის არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები თავდადებით იბრძოდნენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს სოფლის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 7 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარების სოციალისტური ვალდებულება. სახელმწიფოს სულ ჩაბარდა 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 33 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. ამ შესანიშნავი გამარჯვების გამო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ მისალმებაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისადმი გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები მიაღწევენ ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში.

მისალმების თბილმა სიტყვებმა და ჩვენი მეჩაიეების შრომის მაღალმა შეფასებამ საქართველოს სოფლის მშრომელები აღანთო ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. ახალი ძალით გაჩაღდა მშრომელთა გმირული შემართება სახალხო მეურნეობის გეგმების, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის წინადღეებში საქართველოს სოფლის მშრომელები მთელი ძალების მობილიზაციით განაგრძობენ ბრძოლას მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის. ადგილებიდან ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების შესახებ. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს გურჯაანელმა მევენახეებმა, რომლებმაც ყურძნის დამზადების გეგმა 125,9 პროცენტით შეასრულეს. თავი ისახელეს აგრეთვე სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის რაიონების მშრომელებმა. მათ გეგმის გადამეტებით მიაყიდეს სახელმწიფოს ათასობით ტონა ყურძენი. კარგად იმუშავეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ახმეტის, თეთრი წყაროს, საჩხერის, მესტიის რაიონების მეცხოველეებმა, რომლებმაც სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ხორცი, რძე, კვერცხი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. შემოქმედებითად შრომობენ ჩვენი მეციტრუსეები. ისინი პირობას იძლევიან, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის ღირსეულად შეასრულებენ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმას. გვასახელეს ქართველმა მეაბრეშუმეებმა და დაფნის ფოთლის მწარმოებელი რაიონების მშრომელებმაც.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა მიღწეულით დავკმაყოფილებულიყავით. სამეურნეო წელი მიიწურა, ხოლო ზოგიერთი რაიონი მთელ რიგ დარგებში სამარცხვინოდ ჩამორჩება არა მარტო ნაკისრ ვალდებულებათა, არამედ გეგმების შესრულებაში. ნუთუ არ წითლდებიან ხაშურის, საგარეჯოს, მარნეულის რაიონებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მეცხოველეობაში საქვეყნოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება?! ან რამ შეუშალათ ხელი ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონების მეჭარხლეებს შაქრის ჭარხლის გეგმის შესრულებაში? გრძნობენ თუ არა, რომ მხოლოდ ისინი სწევენ უკან ამ დარგებში რესპუბლიკის მაჩვენებლებს! ყველაფერს ამინდს ვერ დავაბრალებთ. ბევრი რაიონის მევენახეებმა და მეხილეებმა, იმის გამო, რომ კარგად ვერ მოუარეს ვაზსა და ხეხილს, ამ კულტურების მოსავალიც დაბალი მიიღეს. ამ მხრივ ჩამორჩენილი აღმოჩნდნენ ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ცაგერის, ამბროლაურის, გორის, ქარელის და მთელი რიგი სხვა რაიონები. ახლა ამ რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ლაპარაკობენ ობიექტურ მიზეზებზე. გვიანღაა. ეს მიზეზები სახსენებელიც არ იქნებოდა, თავის დროზე რომ მიეხედათ ვენახებისა და ხეხილის ბაღებისათვის.

შვიდწლედის პირველი წელი მთავრდება. ახლა თვითეული დღე ძვირფასია. ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ მეცხოველეობის პროდუქტების, შაქრის ჭარხლის დამზადების და სხვა დარგში ნაკისრი ვალდებულებანი აუცილებლად შეასრულონ, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

სიტყვას ნუ გავტეხთ, ამხანაგებო!

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სოფლის მშრომელები, რომლებიც გარემოსილი არიან პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით, გადალახავენ ყოველგვარ სიძნელეებს, ჩვეული თავდადებით განაგრძობენ შემოქმედებითს ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

შესანიშნავი სანახავია ამ დღეებში ზუადიდის რაიონის სოფელ ცაიშის ციტრუსოვანთა პლანტაციები. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან მოჩანს ქარვისფერი ნაყოფით დახუნძლული მანდარინის ხეები.

ცაიშელმა კოლმეურნეებმა წელს ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი მიიღეს. საშუალოდ ჰექტარზე კრეფენ 90 ცენტნერ მანდარინს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერისა. აქ დილიდან საღამომდე მიმდინარეობს

ნაყოფის კრეფა. მკრეფავები ხწრაფად ავსებენ ყუთებს. მანდარინით დატვირთულ ავტომანქანებს შეუფერხებლად გზავნიან მიმღებ პუნქტში.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის პირველი დღიდანვე დაწინაურდა ეთერ ბაღაშვილი. იგი დღეში კრეფს 700 კილოგრამ მანდარინს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 300 კილოგრამისა.

• • •

სურათზე: ეთერ ბაღაშვილი მანდარინის პლანტაციაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

◆ წითელწყაროს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი, დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. თავდადებულმა შრომამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. 5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა.

გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს ხორცი მიეყიდა 2.282 ცენტნერით მეტი, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით; რძე — 4.629 ცენტნერით მეტი, გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით; კვერცხი — 807 ათასი ცალით მეტი, გეგმა შესრულებულია 102,1 პროცენტით; მატყლი — 229 ცენტნერით მეტი, გეგმა შესრულებულია 108,9 პროცენტით, დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ყურძნის, მარცვლეულის, მზესუმზირას, ტყავის ნედლეულის, თივისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს პლენუმის გახსნამდე კიდევ უფრო გაადიდონ პროდუქტების წარმოება.

◆ ზიაზი

ზიაზი. რაიონის მშრომელებმა მკვეთრად გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ვადაზე ადრე—1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის გეგმა: ხორცისა — 100 პროცენტით, რძისა — 101,2 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით, მსხვილი ტყავისა — 173 პროცენტით, წვრილი ტყავისა — 100,5 პროცენტით, ღორის ტყავისა — 100 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ ხობი

ხობი. სოფლის მეურნეობის ყველა დარგში რაიონის მშრომელების თავდადებულმა შრომამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს: ხორცისა — 100,4 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, კვერცხისა— 100 პროცენტით, დაფნის ფოთლისა— 129,4 პროცენტით, მანდარინისა —102 პროცენტით, ლიმონისა — 120 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 101,2 პროცენტით, თესლოვანი ხილისა — 165 პროცენტით, მსხვილი ტყავისა — 100,5 პროცენტით, წვრილი ტყავისა — 101,2 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ სტალინირი

სტალინირი. წელს შესანიშნავად იმუშავეს სამხრეთ ოსეთის მეჭარხლეებმა. მიუხედავად მეტად არახელსაყრელი ამინდებისა, ოლქის კოლმეურნეობების უმრავლესობამ შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავალი მოიყვანა.

მეჭარხლეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 157 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ცენტნერისა.

◆ ახალციხე

ახალციხე. შვიდწლედის პირველი წელი მძლავრი აღმავლობის წელია. 1 ნოემბრისათვის საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 1.350 კილოგრამი რძე, რაც 686 კილოგრამით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. ორმაგად გაიზარდა ხორცის წარმოება.

საამაყო მაჩვენებლები აქვთ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს მწველავებს ნათელა და შუშანა ქიმერიძეებს. მათ საშუალოდ ერთ ძროხაზე უკვე მოწველეს 1.500-1.750 კილოგრამი რძე. გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 1.600-1.800 კილოგრამამდე.

გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ნაკისრი ვალდებულებანი.

ქართველი მექანიზატორები ეხმაურებიან ნიკოლოზ მანუკოვსკის წერილს

არ შევრცხვებით თანამოსაქმესთან!

„კომუნისტის“ 5 დეკემბრის ნომერში დიდი გულისყურით წავიკითხე ნიკოლოზ მანუკოვსკის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეცხოველეობაში, ჯერ კიდევ სჭარბობს ხელით შრომა, რის გამო დიდია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება.

ჩვენ, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის მექანიზატორები, ღრმად დავრწმუნდით იმაში, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებით მოკლე დროში დავეწევით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების მხრივ.

თუ რა დიდი ეფექტი აქვს სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენებას, ამის შესახებ მოვიყვან ერთ მაგალითს.

წელს კოლმეურნეობამ მექანიზატორებს დასამუშავებლად 220 ჰექტარი მიწის ფართობი მოგვამაგრა. მთელ ამ ფართობზე სიმინდი დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივად. სიმინდის დამუშავებაში სრულებით არ გამოგვიყენებია ხელით შრომა. საბოლოოდ, როცა ვიანგარიშეთ მექანიზაციით დამუშავებული ფართობის ეფექტი, გამოირკვა, რომ ნაცვლად 11.160 შრომადღისა, რაც უნდა დახარჯულიყო ამ ფართობის ხელით დამუშავების დროს, დაიხარჯა 825 შრომადღე. ამ ნაკვეთზე მიღებული ერთი ცენტნერი სიმინდი კოლმეურნეობას დაუჯდა სამი მანეთი და 40 კაპიკი, ხოლო იქ, სადაც სიმინდი ხელით დავამუშავეთ, — 24 მანეთი.

კოდის მექანიზატორები პირობას ვიძლევით, რომ კიდევ უფრო გავაფართოებთ კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეცხოველეობაში.

არ შევრცხვებით ჩვენს თანამოსაქმესთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ა. მიკირტუმაშვილი,

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ციფრები მეტყველებენ

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959 წლის 1 დეკემბრისათვის

(პროცენტობით)

რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები	ხორცი	რძე	კვერცხი
ახალქალაქის	116	108	110
ბოგდანოვკის	119	102	116
ახალციხის	107	103	115
ადიგენის	120	109	101
ასპინძის	110	101	105
ხაშურის	87	92	92
ქარელის	100	100	100
გორის	101	106	101
კასპის	101	100	100
ბორჯომის	154	108	102
საგარეჯოს	79	96	84
გურჯაანის	102	101	101
სიღნაღის	100	101	100
წითელწყაროს	99	100	102
თელავის	103	96	101
ახმეტის	123	101	100
ყვარლის	101	102	100
ლაგოდეხის	103	121	100
თბილისი-სამგორის	107	106	95
მცხეთის	101	123	102
მარნეულის	93	98	76
ბოლნისის	101	104	100
წალკის	121	101	100
დუშეთის	105	94	101
თეთრი წყაროს	118	108	100
დმანისის	105	101	100
თიანეთის	118	98	101
ყაზბეგის	147	100	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	110*	102	100
სტალინირის	102	101	100
ჯავის	114	106	—
ლენინგორის	118	101	100
ზნაურის	107	100	100
წყალტუბოს	100	101	101
სამტრედიის	101	111	102
წულუკიძის	99	99	100
ვანის	100	100	100
მაიაკოვსკის	100	101	100
ზესტაფონის	102	117	101
თერჯოლის	102	105	103
ქალაქი ჭიათურა	106	101	96
საჩხერის	109	117	108
ორჯონიკიძის	102	101	100
ტყიბულის	103	101	101
ონის	101	101	83
ამბროლაურის	101	101	100
ცაგერის	100	100	101
ლენტეხის	111	101	—
აბაშის	104	100	101
ცხაკაიას	102	101	100
გეგეჭკორის	102	100	101
ზუგდიდის	100	105	100
ხობის	94	93	100
წალენჯიხის	102	100	88
ჩხოროწყუს	103	100	100
მახარაძის	100	113	102
ლანჩხუთის	102	104	102
ჩობალაურის	100	101	103
მესტიის	132	104	—
ქალაქი ფოთი	92	106	—
აფხაზეთის ასსრ	92	76	104
სოხუმის	92	59	100
გალის	93	81	80
გაგრის	97	98	108
გუდაუთის	93	55	100
ოჩამჩირის	87	80	97
აჭარის ასსრ	105	106	101
ბათუმის	104	108	103
ქობულეთის	101	106	143
ქედის	106	104	100
ხულოს	108	105	101
შუახევის	106	100	102
წონაში მატება პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე გაუჭქების შედეგად	90	—	—
სულ საქართველოს სსრ	103	101	99,5

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

უინულმჭრელ „ლენინის“ სასვლო გამოცდა

ლენინგრადი, (საკდესი). საბჭოთა კონსტიტუციის დღის წინადღეს ბალტიის ზღვაზე წარმატებით დამთავრდა 44 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ატომური უინულმჭრელის „ლენინის“ სასვლო გამოცდა. სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერა აქტს გემის მიღების შესახებ საბჭოთა უინულმჭრელი ფლოტის შემადგენლობაში.



ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოშვება ბუდაპეშტიდან. **სურათზე:** ნ. ს. ხრუშჩოვი და იანოშ კადარი მატარებლის ვაგონში.

ფოტო ვიგოვსკისა.

გუღითაღი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვი იმიერკარპატში

უჟგოროდი, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს, ბუდაპეშტიდან დაბრუნებული, იმიერკარპატში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი მეუღლითურთ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბელა ბისკუ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შანდორ გაშპარი.

სასაზღვრო სადგურ ჩოპში ძვირფასი სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, უკრაინის კომპარტიის იმიერკარპატის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. კ. შჩერბაკი, იმიერკარპატის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. გ. გარაგონიჩი, ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ქალაქ ჩოპის მცხოვრებნი.

16 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით ბაქანს მოადგა სპეციალური მატარებელი. შემხვედრებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ჩამოსულთ. ოლქის მშრომელთა სახელით მუკაჩევოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა იური რუბიშმა და ამ კოლმეურნეობის მერგოლურმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ანა ლადანიმ პურ-მარილი მიართვეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, პიონერებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი უნგრელ მეგობრებთან და შემხვედრებთან ერთად ავტომანქანებით გაემგზავრა უჟგოროდს. მთელ გზაზე მშრომელნი გულითადად მიესალმებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მოძმე უნგრელი ხალხის წარმომადგენლებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა შეხვედრა უჟგოროდში. ქალაქის ქუჩები ხალხით გაჭედილია, გაისმის მისალმების შეძახილები კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობის პატივსაცემად. იწყება სტიქიური მიტინგი.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოკლე სიტყვით მიმართავს უჟგოროდის მშრომელებს, რომლებმაც თავი მოიყარეს ქალაქის მოედანზე. მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს აღფრთოვანებული ტაშით.

იმიერკარპატის მშრომელებსა და მთელ საბჭოთა ხალხს გულითადი მისალმებით მიმართა იანოშ კადარმა.

პარტიის იმიერკარპატის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. კ. შჩერბაკმა, მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს ჩამოსვლისათვის, უდიდესი დახმარებისათვის, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი უწევს ახალგაზრდა საბჭოთა ოლქს, და აღუთქვა ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ იმიერკარპატის მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა.

საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვისა და უნგრელი სტუმრების პატივსაცემად საოლქო ფილარმონიის დარბაზში გაიმართა დიდი კონცერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ კონფერენციებზე

გამოუყენებელ შესაძლებლობათა რაიონი

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან დელეგატები. ისინი კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრობენ:

— მეჯარხლეობის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 482 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი! ეს გეგმით გათვალისწინებულზე მეტია 32 ათასი ცენტნერით. — ისმენ და გული გინათლდება!

მაგრამ, გწყინს, როცა ასახელებენ შავშვების, ბერშუეთის, ზეედფლეთის, ბერბუკის, მეღვრეკისის, დიცის, ნიქოზის, ფხვენისის, ვარიანის, კარალეთისა და სკრის კოლმეურნეობებს, რომლებმაც შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმები ვერ შეასრულეს და ამით სახელმწიფოს 39 ათასი ცენტნერი ჭარხალი დააკლეს.

— რით არის მოპოვებული კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში მაღალი მაჩვენებლები, რამაც უზრუნველყო ის, რომ რაიონს გადამეტებით შეესრულებინა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა, და რა არის ზოგიერთების წარუმატებლობის მიზეზი?

ცალკეულ კოლმეურნეობებში ჭარხლის მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობა მიწათმოქმედების დაბალი კულტურით უნდა აიხსნასო, თვითონვე გასცეს პასუხი დელეგატებმა.

სოფლის მეურნეობაში გაწეული მუშაობის ღრმა ანალიზი იყო მოცემული პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. გ. კეჩხუაშვილის მოხსენებასა და ცალკეულ დელეგატთა სიტყვებში.

რაიონის კოლმეურნეობებს თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ვიდამდე განაღდებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება. დიდი გადამეტებით შესრულდა ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმა. მაგრამ შესაძლებლობანი მეტი იყო.

მომხსენებელი და დელეგატები პარტიის მიერ დასახული ამოცანების პოზიციებიდან აკეთებდნენ რა გაწეული მუშაობის შედეგების ანალიზს, მკაცრად აკრიტიკებდნენ მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავდნენ მათი დაძლევის ღონისძიებებს.

გორელ კოლმეურნეთა სიმდიდრის წყაროა ხილი. მეხილეობიდან მიღებული ფული ერთიორად და მეტად სჭარბობს მეურნეობის სხვა დარგებიდან ერთად აღებულ შემოსავალს. მაგრამ ბაღები და ვენახები კი ჯერ კიდევ მცირეა კოლმეურნეობებში არსებულ სახნავ-სათეს ფართობთან შედარებით. გონივრული არ არის, რომ ტირიფონის ველისა და ლიახვისპირა მიწებში, რომლებიც ხილისა და ყურძნის დიდ მოსავალს იძლევიან, დაბალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ითესება. ეს მიწები მთლიანად ბაღ-ვენახებით უნდა იყოს დაკავებული.

რა არის ამისათვის საჭირო? ყოველწლიურად რაიონში სულ მცირე 800-1000 ჰექტარი ახალი ბაღები უნდა გაშენდეს, იმ ანგარიშით, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის კოლმეურნეობებში 10 ათასი ჰექტარი ბაღები იყოს.

მეხილეობის განვითარება მოითხოვს აგრეთვე მთლიანად ლიკვიდირებულ იქნას ბაღების სიმეჩხრე, არსებითად გაუმჯობესდეს მათი მოვლა-პატრონობა.

სოფლების კარალეთის და სკრის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა მ. ჯაშაშვილმა, ბ. მერებაშვილმა, ვარიანის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მ. სირაბაშვილმა ილაპარაკეს კოლმეურნეობებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაჩქარებაზე, მოითხოვეს ბაღებისა და ვენახების დასამუშავებელი მანქანებით კოლმეურნეობების უკეთ მომარაგება, ამასთან თვითკრიტიკის წესით ილაპარაკეს გამოუყენებელ რეზერვებსა და შესაძლებლობებზე.

კოლმეურნეობებში ხშირად გაიგონებთ: მუშახელი არ გვყოფნის, სამუშაოებში ჩამოვრჩებითო. და რამდენი მუშახელის განთავისუფლება შეიძლება ხელით მძიმე შრომისაგან სათოხნი კულტურების დამუშავების კომპლექსური მექანიზაციის მოწყობით! მაშ რატომ ასე ნელა ინერგება კოლმეურნეობებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია?

ვერ ვუსაყვედურებთ პარტიის რაიკომს, რომ ნაკლოვანებათა მიმართ წაყრუებას იჩენდეს, კადრებს სწორედ არ ანაწილებდეს. მაგრამ აქამდე რად ითმენს სოფლების ნადარბაზევისა და ყველااანთუბნის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გ. ბიბილაშვილისა და შ. მიხანაშვილის უხეირო მუშაობას.

საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. ტოლიაშვილის სიტყვა.

— საანგარიშო მოხსენებაში, — თქვა მან, — საშართლიანად იყო გაკრიტიკებული აღმასკომი, მის ცალკეულ განყოფილებათა მუშაობა, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ინსპექცია. ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებით, შესაძლებლობათა სრულად გამოყენებით შეგვეძლო მეტის გაკეთება. მეურნეობის ყველა დარგში გეგმების შესრულება. ჩვენს რაიონში არის მეხილეობის საცდელი სადგური ექსპერიმენტული ბაზით. ამავე დროს კოლმეურნეობებში მეხილეობის დარგში სეროზული ნაკლოვანებები გვაქვს. ცუდად ინერგება მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

კონფერენციაზე ჯეროვანი ყურადღება დაეთმო პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას. დასახელებულ იქნა ამის არაერთი მაგალითი. სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სუსტად მუშაობს მასების შემოქმედებითი აქტივობის გასაძლიერებლად. აქ მოიმზადებლად ეწყობა პარტიული კრებები, დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი. ამიტომ ბარის, რომ პარტიული ორგანიზაცია გავლენას ვერ ახდენს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაზე.

კომკავშირის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. აბალაძემ გააკრიტიკა სოფლების ტინისხიდის, ნიქოზის, დიცის, ატენის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომკავშირელებისადმი სუსტი დახმარებისათვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ვ. კოვანოვი. მან თქვა, რომ რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ აქაურ ნოყიერ მიწას გაცილებით მეტი შემოსავლის მოცემა შეუძლია, თუ გავადიდებთ ბაღ-ვენახების ფართობს, გაზრდით ძროხების სულადობას და სრულად გამოიყენებთ რეზერვებსა და საშუალებებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ შესაძლებლობანი გამოუყენებელია. პარტიის რაიკომის, ყველა კომუნისტის საპატიო მოვალეობაა ავამოქმედოთ მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ყველა რეზერვი.

ამხ. პ. ვ. კოვანოვი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე კომუნისტური აღზრდის საკითხებსა და საბჭოთა კანონიერების დარღვევათა აღკვეთის ღონისძიებებზე.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. კეჩხუაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ყველაშვილი, მდივნად — ამხ. ბ. გოცირიძე.

მ. ხეთაგური.



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში კარგად იცნობენ ამ მოწინავე მუშებს. მათ ხულ სხვადასხვა პროფესია აქვთ. ო. ოდიშელიძე მრთველია, ნ. ამოსოვა — მქსოველი, ხოლო ე. მჭედლიშვილი — მქსელავი. მაგრამ მიუხედავად პროფესიის სხვადასხვაობისა, ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან — ხაბჭოთა ადამიანებისათვის ქსოვენ საუკეთესო ხარისხის შალის ქსოვილებს. გარდა ამისა, მათ საერთო სხვა რამეც აქვთ — სამივემ უკვე შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა და 1960 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: ო. ოდიშელიძე, ნ. ამოსოვა და ე. მჭედლიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

აგიტპუნქტი მოქმედებს

მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებიდან

შაუმიანის, გელათის, რიონჰესისა და კიბულის ქუჩების — ქუთაისის ამ ერთ-ერთი გარეუბნის მცხოვრებთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს № 30 აგიტპუნქტი, რომელიც ქალაქის მეთორმეტე საქალაქო ბიბლიოთეკაშია მოთავსებული. იგი ლამაზად და მიმზიდველად არის გაფორმებული. ლოზუნგები და პლაკატები, სურათები და დიაგრამები მკაფიოდ ასახავენ მიმდინარე შვიდწლედის ძირითად ამოცანებს. პარტიის XXI ყრილობის მიერ შემუშავებულ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამას და საბჭოთა ხალხის ბრძოლას მისი განხორციელებისათვის.

ოსტატურად გაფორმებული სტენდი მოგვითხრობს ქუთაისის მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაზე. ცალკეა ფოტოგამოფენა — „ეკონომიკისა და კულტურის აყვავება სსრ კავშირში“. აგიტატორთა დასახმარებლად მოწყობილია დიდი სტენდი, რომლის მასალები მიძღვნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი.

მეხუთე წელია №30 აგიტპუნქტი მუდმივად მოქმედებს და მას უცვლელად ხელმძღვანელობს „ქალაქმშენსახპროექტის“ ქუთაისის ფილიალის არქიტექტორი ვლადიმერ გიორგაძე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი მოსახლეობაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრად ითვლება.

დიდია ყოფილი საარჩევნო უბნის ტერიტორია. მაგრამ აგიტპუნქტი თავისი ფართო და მრავალმხრივი საქმიანობით მთელ უბანს, უკლებლივ ყველა მცხოვრებს მოიცავს. მის გარშემო შემოკრებილი აგიტატორები, აქტივისტები. საქალაქო საბჭოს დეპუტატები წარმატებით სწვდებიან თავიანთ საქმეს — ცოცხალი სიტყვით, ლექციებით, მოხსენებებითა და საუბრებით, კითხვა-პასუხის საღამოებით, კონსულტაციებით, მკითხველთა კონფერენციებით, ექსკურსიებითა და ბევრი სხვა საინტერესო ღონისძიებით პროპაგანდას უწევენ, პოპულარიზაციას უკეთებენ პარტიის XXI ყრილობის შემდეგ საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ მიღწევებს. ეხმარებიან მშრომელებს იმაში, რომ უფრო ღრმად გაიგონ კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ამბები, მიმდინარე პოლიტიკის საკითხები.

აი ბიბლიოთეკის გამგე, აგიტატორი ოლია გვეტაძე შაუმიანის ქუჩის №118 სახლისაკენ გაეშურა. სწორად შეურჩევიათ ეს სახლი სააგიტაციო საუბრების მოსაწყობად. იგი შუა ადგილია და ადვილად მისაწვდომია №106-დან №130 სახლამდე მცხოვრებთათვის. მივიდა აგიტატორი დიასახლისებთან და თან ბევრი ახალი საინტერესო ამბავი მიუტანათ... თავის მორიგ საუბრებში მას არ გამორჩენია უკანასკნელი დროის არც ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. მომდევნო საუბარი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს მიუძღვნა.

დიასახლისებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აგიტატორის მორიგი საუბარი, რომელიც უშუალოდ მათს ინტერესებს შეეხებოდა. ეს იყო პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

— მშვიდობა და ხალხის ბედნიერებას! აი რა არის ჩვენი პარტიის მუდმივი საზრუნავი. — ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა აგიტატორმა.

— თითქოს აქ, ჩვენთან იყვნენ და ხედავდნენ ამ ჩვენს საოჯახო წვრილმანებს. დიასახლისის შრომის შემსუბუქებისათვის გადაწყვეტილია მნიშვნელოვნად გაიზიდოს საოჯახო საქონლის გამოშვება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ ამ გადაწყვეტილებით, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას! — განაცხადა აგიტატორთან საუბარში დიასახლისმა ლუბა მოსეშვილმა.

და განა მარტო აგიტატორი ო. გვეტაძე აწყობს ასეთ საუბრებს? დიასახლისებთან, პენსიონერებთან ცოცხალ, საინტერესო საუბრებს მართავენ აგრეთვე პედაგოგები თ. ღვინეფაძე, გ. მესხი და თ. ბარაბაძე, ექიმები ვ. გაბიძაშვილი და გ. გოგიტიძე, ინჟინერი ზ. კეზევაძე, ტექნიკოსი ი. ბრაგინი, სტუდენტი ი. გაფრინდაშვილი, დიასახლისი ნ. ნიშნიანიძე, ბიბლიოთეკარი თ. ექსეულიძე და სხვები.

თავიანთ საუბრებში მათ ბევრი საგულისხმო, თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავთ ადგილობრივი ცხოვრებიდან. საამისოდ შორს წასვლა როდი სჭირდებათ. ჩვენი განუხრელი წინსვლა და ზრდა მკაფიოდ ჩანს თუნდაც ამ უბნის მაგალითით. ძირფესვიანად იცვალა სახე ერთ დროს მიყრუებულმა მწვანე ყვავილამ და კიბულამ — ქუთაისის ამ განაპირა უბანმა. კიბულის, გელათის და შაუმიანის ქუჩები ასფალტით დაიფარა, აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლის ორი დიდი შენობა. ამ უკანასკნელად გაიხსნა კიდევ ერთი ახალი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, ახალი მაღაზიები. აგიტატორები მოსახლეობას უამბობენ ყოველივე ამას. ესაუბრებიან იმ დიდი პერსპექტივების შესახებ, რომლებიც ქალაქის. მისი თვითეული უბნის წინაშეა გადაშლილი შვიდწლედში.

ამ უკანასკნელ ხანს მოსახლეობისათვის წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“, „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და ბრძოლა მშვიდობისათვის“, „სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში“, „ქუთაისის მრეწველობის განვითარება შვიდწლედში“.

აგიტპუნქტის გამგეს ვ. გიორგაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ უბნის ზოგიერთი მცხოვრები ჯერ კიდევ მისდევს რელიგიურ ცრურწმენებს. მან გადაწყვიტა უბანში ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით აგიტატორებისათვის კვალიფიციური ლექცია წაეკითხათ. ასეც მოხდა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ჯაველიძემ აგიტპუნქტში წაიკითხა ლექცია თემაზე: „მეცნიერება და რელიგიური ცრურწმენები“. აგიტატორებს რჩევა მიეცათ სათანადო ლიტერატურასთან ერთად საუბრებში გამოიყენებინათ ათეისტურ თემაზე ამ უკანასკნელად პრესაში გამოქვეყნებული სტატიები. ყოველივე ამის შედეგად უბნის მოსახლეობაში ათეისტური პროპაგანდა გაძლიერდა.

აგიტპუნქტის მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა მოსახლეობისათვის ექსკურსიების მოწყობა. აგიტატორთა და აქტივისტთა დახმარებით არკვევენ, თუ სად და როდის სურს მოსახლეობას ამა თუ იმ სახის ექსკურსიის მოწყობა. აგიტპუნქტის ინიციატივით წელს დიასახლისებმა და პენსიონერებმა ექსკურსიები მოაწყეს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, აბრეშუმკომბინატში, ვუმპალეში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ეწყობა უბნის მოსახლეობის კოლექტიური დასწრება საინტერესო კინოფილმებსა და თეატრალურ დადგმებზე.

აგიტპუნქტში რეგულარულად იმართება აგიტატორთა სემინარები, თათბირები. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ა. ბარდაველიძე) უნარიანად წარმართავს აგიტპუნქტისა და მის გარშემო შემოკრებილ აგიტატორთა, აქტივისტთა საქმიანობას. პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს აგიტატორთა გამოცდილი კადრების შერჩევისათვის, მათი შემდგომი დოსტატებისათვის, განაზოგადებს მოწინავეთა გამოცდილებას.

პარტიული ორგანიზაციის, მუდმივმოქმედი აგიტპუნქტის მთელი მუშაობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ — სისტემატურად, ყოველდღიურად განუმარტონ მოსახლეობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, დარაზმონ მშრომელები კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

შ. ჯაფახაძე.

კოლმეურნეობის ეკონომისტი

სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რომლებიც განხილულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე, დიდი ყურადღება დაეთმობა აგრეთვე კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამმტკიცების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, ეფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება დავაყენოთ საკითხი საკოლმეურნეო წარმოებაში აგრონომ-ეკონომისტთა კადრების გამოყენების შესახებ.

როგორც ფაბრიკა-ქარხნებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებშიც ეკონომიური საქმიანობის ძირითადი დანიშნულებაა საგეგმო-ეკონომიური მუშაობის ყოველმხრივი გაშლა, მეურნეობის ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვა, პროდუქციის თვითღირებულების ზუსტი გამოანგარიშება, არსებული რეზერვების სრულყოფილად გამოყენება, წარმოების, შრომის, აღრიცხვისა და ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია და სხვ. ცხადია, ამ რთული საქმიანობის შესრულება შეუძლებელია ისე, თუ არ იქნა მაღალკვალიფიციური, ენერგიული მგეგმავი-ეკონომისტი.

ეკონომიური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას შეუძლია მეტად დიდი როლი შეასრულოს კოლმეურნეობებში. თანამედროვე კოლმეურნეობა მსხვილი, მრავალდარგოვანი და რთული მეურნეობაა, რომელიც თავისი საქმიანობით ბევრად განსხვავდება სამრეწველო საწარმოებისაგან, ამავე დროს კოლმეურნეობას დიდი სამეურნეო შესაძლებლობანი აქვს.

ამ შესაძლებლობათა სრულყოფილად ათვისება, მეურნეობის სწორად წარმართვა და საერთო საქმიანობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევა, გარდა საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკის ცოდნისა, მისი ეკონომიკის კარგ ცოდნას და ამ ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებასაც მოითხოვს. საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკის ცოდნა რთული და სერიოზული საქმეა. სათანადო ეკონომიურ განათლებასთან ერთად საჭიროა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აგროტექნიკის ცოდნაც.

სწორედ ასეთ სპეციალისტებს ამზადებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტმა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა, თავისი არსებობის განმავლობაში გამოუშვა 244 მაღალკვალიფიციური აგრონომი-ეკონომისტი. გარდა ღრმა თეორიული ცოდნისა, ამ სპეციალისტებს მიღებული აქვთ აგრეთვე სათანადო პრაქტიკული წრთობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში. სამწუხაროდ, დღევანდლამდე ჩვენს კოლმეურნეობებში ამ სპეციალისტთა მხოლოდ მცირედი ნაწილია გამოყენებული.

საკოლმეურნეო მუშაობაში გაბედულად უნდა ჩავაბათ მაღალკვალიფიციური მგეგმავი-ეკონომისტები. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომისტი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა. მის კარგ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საკოლმეურნეო წარმოების ზუსტი დაგეგმვა, იმ გზებისა და საშუალებების გამოძებნა, რაც უზრუნველყოფს მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას. კოლმეურნეობის ეკონომისტმა დროულად უნდა შეადგინოს კვარტალური და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა არა მარტო კოლმეურნეობისათვის, არამედ თვითეული საწარმოო ბრიგადისთვისაც, გააკეთოს თვითეული ბრიგადის და მთლიანად კოლმეურნეობის ყოველკვირეული მუშაობის ანალიზი, გამოავლინოს არსებული რეზერვები და ორგანიზაცია გაუკეთოს მათ ყოველმხრივ გამოყენებას.

ამჟამად კოლმეურნეობათა ყოველდღიურ საქმიანობაში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის თვითღირებულების სწორად გაანგარიშებას, ამ გაანგარიშების მეთოდიკის ზუსტად დადგენას, ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით მეურნეობის ცალკეული დარგების ისეთ განლაგებას, რაც უზრუნველყოფს მაღალი მოსავლის მიღებას შრომის ნაკლები დანახარჯებით. გარდა აღნიშნულისა, კოლმეურნეობაში ეკონომისტს თანამდებობის შემოღება ნაკარნახევია სასაქონლო ფულადი ურთიერთობის შემდგომი გაფართოებით, მთელ რიგ მეურნეობათა ფულად ანაზღაურებაზე გადასვლით, საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაშლით და კოლმეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაძლიერებით.

ფაქტები მოწმობენ, რომ იქ, სადაც ეკონომიურ მუშაობას სათავეში უდგას მაღალკვალიფიციური მგეგმავი-ეკონომისტი, სადაც ეს საქმიანობა სათანადო დონეზეა დაყენებული, კოლმეურნეობა უფრო მეტ წარმატებებს აღწევს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მახარაძის რაიონის სოფელ მელეკედურის კოლმეურნეობა აგრონომი-ეკონომისტი ი. ჩხაიძე დროულად და საქმის ცოდნით აშუშავებს ეკონომიურ საკითხებს, ანდგენს განვლილი მუშაობის ანალიზს, სახავს ღონისძიებებს და დიდ დახმარებას უწევს გამგეობას საკოლმეურნეო ეკონომიკის განმტკიცებაში. ასევე უნდა ითქვას სიგნაღოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „სანერგეთველოს“ მგეგმავ-ეკონომისტ გ. ჭიბერაშვილისა და სხვათა შესახებ.

კოლმეურნეობებში აღრიცხვა-ანგარიშგების დაბალ დონეზე დაყენების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს საანგარიშო დარგის მუშაკთა დაბალი კვალიფიკაცია. მათი დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ დაბალი განათლებისაა. არა აქვთ სპეციალური ცოდნა აღრიცხვების დარგში. ამ მხრივ კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი, რომელიც მგეგმავ-ეკონომისტებთან ერთად მაღალკვალიფიციურ ბუხგალტერ-ეკონომისტებსაც ამზადებს.

ჩვენი მრავალდარგოვანი კოლმეურნეობები ამჟამად ზეიმობენ ახალ მოწინავე მანქანა-იარაღებით, მათ განკარგულებაშია საუკეთესო მიწის ფართობი, შრომითი რესურსები და სხვ. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება ახალ მშენებლობებზე. ყველა ამ საშუალებათა სრულყოფილად გამოყენების, შრომის საშუალებათა ნაკლები დანახარჯებით მაღალ შედეგების მოპოვების ინტერესები გვავალებს კოლმეურნეობებში სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ეკონომიური მუშაობა, ეს უბანი ჩავაბაროთ მაღალკვალიფიციურ მგეგმავ-ეკონომისტს, რომელიც თავისი ნაყოფიერი მუშაობით ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებას.

ნ. პაიჭაძე,

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

ბილიონები... ბილიონები!

უკიდურესობის ფონდში

რუსთავი შრომის პირობების გაუმჯობესებისა და წარმოებაში ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის შემოქმედებითად მუშაობენ ქარხნის რაციონალიზატორები და გამმგონებლები ბათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, იზრდება მათი წინადადებების ეკონომიური ეფექტიც. მაგალითად, მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით, რაციონალიზატორთა რიცხვი 59 კაცით გაიზარდა, ხოლო წარმოებაში დანერგილ წინადადებათა რიცხვი — 88-ით.

რაციონალიზატორთა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მარტო ათ თვეში წარმოებაში დანერგილ წინადადებათა ეკონომიურმა ეფექტმა 4.715 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 225 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ა. გავთიანი.

ამერიკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის რაციონალიზატორთა და გამმგონებელთა ბიუროს უფროსი.

* * *

სამტრედია. დიდი გამოცოცხლება იგრძნობა აბრეშუმის ძაფსადებ-საგრეხ ფაბრიკაში. ფეიქრებმა წარმატებით გაანაღდეს თერთმეტი თვის საწარმოო დავალება და გეგმით გათვალისწინებული 34.147 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად ქვეყანას მისცეს 34.488 ათასი მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკის მშრომელებს ნაკისრი ჰქონდათ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეეტანათ სულ ცოტა 500 ათასი მანეთი. ფაქტიურად დღემდე შეტანილია 1.200 ათასი მანეთი, თვითეულ მუშაზე 1.450 მანეთამდე.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გამოუშვას მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. (სპპ. კორ.).

საშუალო დონეზე დაგლა...

შარშან ჩხოროწყუს XVIII რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა მოურიდებლად გააკრიტიკეს რაიკომისა და პირველად პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. მოსალოდნელი იყო, რომ ახლად არჩეული რაიონული კომიტეტი მჩქეფარე ცოცხალ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას გააჩაღებდა კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მაგრამ, როგორც 28 ნოემბერს გამართულმა XIX პარტიულმა კონფერენციამ დაადასტურა, საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიკომი და მისი ბიურო თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც ილაპარაკეს მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ცანავამ და დელეგატებმა.

წელს რაიონმა ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 18,5 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 14,7 ცენტნერი სიმინდი.

სიმინდის კულტურის შეუფასებლობა გარკვეულ დაღს ასვამს მეცხოველეობას, რომელიც კვლავ ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. მიმდინარე წელს თვითეულ საფურაეე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 650 კილოგრამი რძე. რვა კოლმეურნეობამ გაცილებით იმაზე ნაკლები რძე მიიღო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

სუსტად არის განვითარებული მეთხეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა, რომელთა აღმავლობისათვის რაიონს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომს არაერთხელ განუხილავს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მუშაობის საკითხი, დაუსახავს სათანადო ღონისძიებებიც, მაგრამ საქმე ქაღალდს არ გასცილებია, კოლმეურნეობებში მდგომარეობა უცვლელი დარჩენილა, რადგან რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას არ ეწეოდნენ.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრებით ნაყოფ ვალდებულებათა შესრულებას. სამეურნეო წლის დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო არტელები საზეიმოდ იღებენ გადიდებულ ვალდებულებებს, მაგრამ შემდეგ მათ შესასრულებლად არ იბრძვიან. ასეთი მოქმედებისათვის კი პასუხს არავინ არა სთხოვს.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთების აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს მოუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ლესელიძეს ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებმა ვ. ხარებავამ და შ. ჩხარჩხალიამ, განაცხადეს განყოფილების გამგემ როდონაიამ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ნ. ლემონჯავამ და რაიონის პროკურორმა გ. ტორჩინავამ.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ხუნდუა თავის გამოსვლაში შეეხო რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისა და ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვან მხარეებს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. დოლიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებს.

* * *

ახლად არჩეულმა რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. მორგოშია, მეორე მდივნად — ამხ. შ. ყალიჩავა.

გ. ნოდია.

პარტორგანიზაციის ინიციატივით

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართეს მოწოდებით — საწარმოო ოპერაციების მექანიზაციით, ავტომატიკისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის ფართოდ დანერგვით მკვეთრად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება. ქარხნის კოლექტივი 20 დეკემბერს დაამთავრებს წლიური გეგმის შესრულებას.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, რაციონალიზატორებთან და გამმგონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიას მოგვითხრობს

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დიდი სამამულო ომი, რომელიც საბჭოთა ხალხის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა, წარმოადგენდა სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა გამოცდას. მომმე საბჭოთა ხალხების მხარდამხარ საქართველოს მშრომელებმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს. სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

კომუნისტური პარტიის პირველი მოწოდებისთანავე საქართველოს მშრომელები სამშობლოს დამცველთა მოწინავე რიგებში ჩადგნენ, მოახდინეს მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია და ფრონტებზე და ზურგში სჭედდნენ მტერს გამარჯვებას. ამ გმირული ბრძოლისა და შრომის ეპოპეის მეცნიერულად შესწავლა დიდი და საპატიო საქმეა. დოც. ა. იოსელიანს თავის გამოკვლევაში — „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში“, — რომელიც „ამა წინათ გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, — სწორედ ეს მიზანი დაუსახავს.

ქართველი ხალხის მონაწილეობაზე დიდ სამამულო ომში მართალია გამოქვეყნებულია ნარკვევები, სტატიები, პოპულარული ბროშურები და სხვ. მაგრამ დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვებოდა განმზოგადებელი გამოკვლევა. დოც. ა. იოსელიანის წიგნი ავსებს ამ ხარვეზს.

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგს, დამყარებულს პირველ წყაროებზე, მდიდარ საარქივო დოკუმენტებსა და ლიტერატურაზე. მასში თანმიმდევრულად, ფართოდ, ქრონოლოგიურ და ლოგიკურ კავშირში, ეტაპობრივად განხილულია საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა მონაწილეობის არსებითი მნიშვნელობის საკითხები, ნაჩვენებია ხალხის მასების გადამწყვეტი როლი და მისი განსაკუთრებული დამსახურება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მითითებულია, რომ საბჭოთა საქართველოს თავისი ეკონომიკით, სტრატეგიულ-ტერიტორიული მდებარეობით, სახმელეთო-საკავშიროგზო და საზღვაო-სანაოსადაფური მგზავრებით, მოწინავე სოციალისტური მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით სსრ კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა დიდ სამამულო ომში.

წიგნში ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების კარგად გამოყენებით ნაჩვენებია ქართველი ხალხის გმირულ, დიდ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში საბჭოთა საქართველოს საუკეთესო შვილების პატრიოტული, გმირული თავდადება ფრონტებსა და ზურგში.

ავტორი ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით კარგად აშუქებს დიდი სამამულო ომის დაწყებისთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნას, საყოველთაოსახალხო პატრიოტულ წამოწყებებს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად.

შრომაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ომის წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ამ კავშირის ახალი ფორმებისა და თავისებურებების ჩვენებას. მას შემდეგ, რაც ბრძოლები კავკასიის მისადგომებზე გაჩაღდა, საბჭოთა საქართველო ფრონტისპირა რაიონი გახდა. კიდევ მეტი — საქართველოს საფრთხე თურქეთიდანაც დაემუქრა. „მაგრამ რესპუბლიკა ამ მდგომარეობიდან, — წერს ა. იოსელიანი, — საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლებით და საბჭოთა ზურგის მუშაკთა თავდადებული შრომით მოკლე დროში იქნა გამოყვანილი“.

ნაშრომში წარმოდგენილია კულტურული მშენებლობა საქართველოში ომის წლებში, ნაჩვენებია რესპუბლიკის მოწინავე მეცნიერების როლი გასამხედროებული სახალხო მეურნეობისადმი ყოველმხრივი დახმარების საქმეში, მეცნიერებისა და წარმოების, თეორიისა და პრაქტიკის კავშირის შემდგომი განმტკიცება და გაღრმავება.

სარეცენზიო წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი მეომრების მამაცობისა და გმირობის, სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ჩვენებას.

შრომაში ხაზგასმულია, რომ ხალხთა მეგობრობა დიდი სამამულო ომის პერიოდში უმაგალითო სიძლიერითა და სიღრმით გაიზარდა, მან ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა. ავტორი განსაკუთრებით მიუთითებს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობის ისტორიულ ტრადიციებზე და სავსებით სამართლიანად დაასკვნის, რომ რუსი და ქართველი ხალხების, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხების, საბრძოლო თანამეგობრობა არასოდეს არ ყოფილა ისე ურღვევი და უძლეველი, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში იყო.

წიგნის უკანასკნელ ორ განყოფილებაში გაშუქებულია საქართველოს რესპუბლიკის მშრომელების ზრუნვა საბჭოთა არმიასა და ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონებზე და ღონისძიებები მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის.

წიგნში კარგად არის გამოყენებული პირველი წყაროები, მდიდარი საარქივო ფონდები, პრესა და სხვა სახის ლიტერატურა. ავტორის ყველა ძირითადი დებულება ემყარება პარტიულ დოკუმენტებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს, გააზრებული და დასაბუთებულია დიდძალი ფაქტიური მასალებით. ნაშრომს აქვს მდიდარი სამეცნიერო აპარატი, მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა, დანართი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირების სია, სახელთა და გეოგრაფიული სახელები.

წიგნს დადებით მხარეებთან ერთად აქვს ნაკლოვანებებიც. არასაკმაოდ არის წარმოდგენილი წიგნში მასალები სამამულო ომის წლებში საქართველოს რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. საჭირო იყო მეტი ფაქტების მოყვანა იმ სიძნელეებისა და დაბრკოლებათა სურათის ნათელსაყოფად, რაც წინ უძღოდა სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნას და დამახასიათებელი იყო აგრეთვე მთელი ომიანობის პერიოდისათვისაც. წიგნი გადატვირთულია თავებითა და ქვეთავებით, ხოლო ზოგიერთ თავს ან სულ არ ახლავს საჭირო დასკვნები, ან ისინი მეტად მკრთალია. ნაშრომში გამოყენებულია საყურადღებო ცხრილები, მაგრამ ზოგჯერ არეულია ნომერაცია. ნაშრომი ძოგგებდა ზოგიერთი ცხრილის უნიფიცირებით და ცხრილიდან გამომდინარე ანალიზებისათვის მეტი ყურადღების მიქცევით. წიგნში გვხვდება ფაქტების, ციფრების და ცალკეული გამოთქმების გამეორება. ეხება რა საქართველოს რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობას, ავტორი ამ საკითხის გაშუქებას რატომღაც იწყებს არა სახალხო განათლებით, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია, არამედ მეცნიერების დარგით.

საჭირო იყო ავტორს მეტი მასალები წარმოედგინა სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლ ქართველთა და ქართული ეროვნული სამხედრო ნაწილების ბრძოლების დახასიათებისათვის. ემჩნეკა სკოლიოების სიმრავლეც.

არასწორია ნაშრომის 186-ე გვერდზე ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს 1945 წლიდან განახლდა გორის საფეიქრო კომბინატის მშენებლობა. როგორც ცნობილია, ეს მშენებლობა უფრო გვიან დაიწყო.

საჭირო იყო შრომაში რუსულად ციტირებული ადგილების ქართულად თარგმნა. წიგნში ვხვდებით კორექტურულ შეცდომებს და სტილისტურად გაუმართავ ადგილებს. საჭირო იყო შესავლისა და წინასიტყვაობის უფრო გამიჯვნა.

ეს შენიშვნები დიდად არ ჩრდილავს წიგნის ღირსებას. დოც. ა. იოსელიანის წიგნი „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში“ პირველი ორიგინალური შრომაა, რომელიც მოგვითხრობს ქართველი ხალხის ბრძოლაზე სამშობლოს კეთილდღეობისა და მისი მომავლისათვის. ამდენად სარეცენზიო ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიის შენაძენია.

ერ. გურგულაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ძ. ანთიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



ზუგდიდი. ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატთან არხებული მე-5 ხაშუალო სკოლის ბევრმა უფროსკლასელმა გამოთქვა სურვილი ხიმწიფის მოწმობასთან ერთად მიიღოს პოლიგრაფისტის სპეციალობა.

სურათზე: ინგურის კომბინატის სტამბის ოსტატი ა. მიშველიანი უხსნის მე-5 სკოლის მეცხრეკლასელებს ვ. გეთიას და ა. გვაჯავას სახეჭდი მანქანის მოწყობილობას.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ფიქრები სახალხო თეატრზე

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ახალი სახალხო თეატრი გაიხსნა.

სახალხო თეატრი ახალი ხილი როდია ჩვენში. პირველი სახალხო თეატრი, როგორც ცნობილია, სწორედ მუშათა უბანში (ნაძალადევში) გაიხსნა 1893 წლის სექტემბერს. ის გაიხსნა მოწინავე მუშების თაოსნობით, პირველი რეჟისორიც მუშათა წრიდან გამოსული მოღვაწე იყო, პირველი პიესაც ფეოდალურ წყობილებას ებრძოდა და მუშა კაცს ექომაგებოდა. ტაშს გრიალით მიიღო აუდიტორიამ მუშა მსახიობის გიორგი ჯაბაურის რეპლიკა, რომლითაც ძველ ფეოდალს მიმართავდა: „ენაზობა აღარ არის? რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“

პირველი წარმოდგენის გამართვა თვრამეტ მანეთამდე დაჯდა. ბილეთის ფასი შაური იყო. შემოსავალი 14 მანეთსა და შვიდ შაურს შეადგენდა. „ზარალი“ მუშებმა აანაზღაურეს თავისი ჯიბიდან. მაგრამ გაა „ზარალი“ იყო ეს პირველი წარმოდგენა პირველი სახალხო თეატრისა? რასაკვირველია, არა! მუშათა კლასი თეატრალურ ფრონტზეც გამოვიდა სამოქმედოდ. წინათ თეატრსა და კულტურულ გართობას მოკლებული მშრომელი ადამიანი მწარედ მოთქვამდა და წუხილით მიმართავდა მდიდარსა და კაპიტალისტს:

„დალოცვილო, როგორ თუ რა მაჯავრებს?
გული მტკივა მინდა გაგიზიარო,
რათა, ძმაო, ერთი მითხარ, რისათვის,
მე ტრახტირში, შენ თიატრში იარო?“

სწორედ ამ მშრომელმა ადამიანმა, ამ მუშა კაცმა თვითონ, თავისი ენერგიით, თავისი ხელფასით, თავისი ჯაუთი თავისი თეატრი გაიჩინა, თავისი საზოგადოებრივი ტრიბუნა შექმნა.

იმ ხანებში სამუშაო დღე 12 საათს უდიოდა. მუშა-მსახიობები მაინც პოულობდნენ დროს რეპეტიციისათვის და სცენის მოწყობისათვის. არ ჰქონდათ სასცენო მოწყობილობა, და რეკვიზიტისათვის საჭირო ნივთები ოჯახებიდან გამოჰქონდათ. შორს ცხოვრობდნენ თეატრიდან და რამდენიმე კილომეტრს ფეხით დადიოდნენ ბნელ ქუჩებში. მაშინდელი მთავრობა მუშათა უბნებს ხომ არ ანათებდა? არ იყო ელექტროგანათება, და სცენასა და დარბაზს ჭრაქით ანათებდნენ. პირველი მუშათა კლუბი რომ ააგეს ნაძალადევში, იმ კლუბისთვის მუშების ცოლებს კალთით დაჰქონდათ ბაური ლამლამობით, დღისით არ შეიძლებოდა — პოლიციისა ნებას არ აძლევდა.

რა დიდი სიყვარული უნდა ჰქონოდათ მუშებს ხელოვნებისა, თეატრისა, რა დიდი ნებისყოფა და ვაჟკაცობა უნდა გამოეჩინათ, რომ დაეარსებინათ თავიანთი მუშური თეატრი; სახალხო თეატრი!..

ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ სახალხო თეატრის დაარსება არ იყო დაკავშირებული მარტო ხელოვნების საკითხებთან. ქართული სახალხო თეატრი პირმშო შვილია საქართველოს მუშათა კლასის მოძრაობისა. სცენაზე რომ ფარდა აიხდებოდა, სცენის მიღმა არალეგალური წრეები იწყებდნენ მუშაობას. სპექტაკლი პოლიციის მიერ ყოველ ნაბიჯზე ფერდებდა, ხოლო სპექტაკლის გარშემო პოლიციისა და მთავრობის საწინააღმდეგო ძალები ირაზმებოდნენ, რევოლუციისათვის ემზადებოდნენ. დიდია ჩვენი სახალხო თეატრისა და მის მოღვაწეთა დამსახურება რევოლუციის წინაშე.

ახლა კიდევ ისიც გავიხსენოთ, რომ სახალხო თეატრის წიაღიდან ბევრი გამოჩენილი მსახიობი გამოვიდა, რომელთაც შემდეგში ქართული სცენა დაამშვენეს. სახალხო თეატრმა შეძლო ბევრი გამოჩენილი და ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის მიზიდვა, რომელნიც მუშა მსახიობებთან ერთად ხალხის უანგარო და საჭირო სამსახურში ჩადგნენ, ესეც ერთ-ერთი დამსახურებაა ჩვენი სახალხო თეატრისა...

ამჟამად კი ახალ სახალხო თეატრს ახალ ვითარებაში უხდება მოღვაწეობა. თუ წინათ ყველაფერი ხელს უშლიდა სახალხო თეატრს, ახლა ყველაფერი ხელს უწყობს მას: პარტია, მთავრობა, ხალხი, საბჭოთა სინამდვილე. ოღონდ იმარჯვოს სახალხო თეატრმა! ოღონდ უანგაროდ, სიყვარულით, პატრიოტულად, კომუნისტურად იმუშაონ სახალხო თეატრის გარშემო დარაზმულმა ძალებმა. მხოლოდ ამ პირობით შეძლებს სახალხო თეატრი შეასრულოს ის დიდი ამოცანა, რომელიც დააკისრა მას პარტიამ და ეპოქამ. ამოცანა კი ის არის, რომ სახალხო თეატრმა ესთეტიკურად უნდა აღზარდოს თავისი მაყურებელი, ჩაუნერგოს მას შრომის პატივისცემა, აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს კომუნიზმის მშენებლობაში, ახალი, კომუნისტური ჩვევები ჩაუნერგოს კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს, სახალხო თეატრი უნდა გადაიქცეს „კომუნისტური მორალის სკოლად, სადაც კაპიტალისტური გდმონაშთებით შებილწული ადამიანი თავიდან ფეხებამდე უნდა განიწმინდოს. სახალხო თეატრის რეპერტუარი მებრძოლი უნდა იყოს, გამბედავი უნდა იყოს. ის უნდა შეებრძოლოს საბჭოთა აპარატში აქა-იქ ფეხმოკიდებულ ბიუროკრატიზმს და მოსტეხოს ეს მოკლე ფეხი. მან უნდა გამოუმუშაოს თავის მაყურებელს სულიერი მოთხოვნილება სიფაქიზისა, სილამაზისა, ადამიანის პატივისცემისა. სახალხო თეატრი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ ის თავის თვითმოქმედ ძალებს დაეყრდნო, თუ მუშაობა უფასო იქნება. ეს ხომ შრომაა საკუთარი თავისათვის? საკუთარი ოჯახისათვის? გულმა და შეგნებამ უნდა მიიყვანოს ადამიანი სახალხო თეატრთან, კომუნისტურმა განწყობილებამ უნდა უკარნახოს მას თეატრალური მოღვაწეობა. ეს სახალხო თეატრში მოღვაწეობის უპირველესი პირობაა.

რასაკვირველია, სახალხო თეატრში გამოვლინდება თეატრალური ნიჭი. კველაფერს თავისი ნიჭი უნდა, თავისი უნარი. ამ მხრივ სახალხო თეატრი თვითონ გაიკვლევს გზას. რაც შეეხება რეჟისურას, ხელმძღვანელმა ორგანოებმა თავიდანვე გაითვალისწინეს, რომ ყოველ სახალხო თეატრს ჰყავდეს ფართო პროფესიონალი რეჟისორი და მხატვარი სახელმწიფო ხარჯზე. ეს გასაგები ღონისძიებაა, რადგან დღეკანდელი მაყურებელი ის აღარ არის, რაც 1893 წელს იყო. საჭიროა გამოცდილი პროფესიონალის ხელი სპექტაკლის ორგანიზაციაში. თვითონ სპექტაკლი კი მთლიანად სცენის მოყვარეებს უნდა მიენდოს. რასაკვირველია, ეს როდი გამორიცხავს პროფესიონალ მსახიობთა მონაწილეობას სახალხო თეატრების სპექტაკლებში. ეს საჭიროც არის სახალხო თეატრის შემოქმედ ძალთა ზრდისათვის.

თავის დროზე ძველი თეატრის დიდი მსახიობი ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი უფასოდ იღებდნენ მონაწილეობას სახალხო თეატრის სპექტაკლებში. ჩვენს დღეებშიც გამოჩენილი მსახიობი ალაკი ხორავაც ამსანაგურად, უანგაროდ იღებს მონაწილეობას სახალხო თეატრის სპექტაკლებში. მაგალითად, პლეხანოვის სახელობის კლუბთან სახალხო თეატრის გახსნისას სახალხო თეატრის მუშაკებთან სიმაღლეთა და კმაყოფილებას გრძნობით აღნიშნეს: ჩვენთან ერთად ალაკი ხორავა მუშაობსო. ეს ჩვენთვის დიდი სკოლა არისო.

ცალკე დგას საკითხი სახალხო თეატრის რეპერტუარისა. აქ კი თვითმოქმედება არ შეიძლება. რეპერტუარი მთლიანად მწერლობას უნდა დაეყრდნოს. პიესა დრამატურგმა უნდა დაწეროს.

— ამა ვინ დაწეროს პიესა, თუ არა დრამატურგმა? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.

საქმეც ის არის, რომ უკვე გვაქვს სამწუხარო ფაქტები. რამდენიმე სახალხო თეატრში უკვე დაიდგა არა დრამატურგის პიესა, არამედ სამხატვრო ხელმძღვანელის პიესა. ეს მცდარი გზაა და მიუღებელი. სახალხო თეატრების შექმნა დიდი სახალხო მოძრაობაა და მისი შემოქმედებითი ბაზა თავიდანვე გარკვეული და მხატვრული უნდა იყოს.

პლეხანოვის სახელობის კლუბთან გახსნილ სახალხო თეატრს ეს საშიშროება არ მოელის. მის სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეულია გამოცდილი და ჩინებული რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი. ის შეძლებს დაეყრდნოს მწერლობას, დრამატურგიას და ახალ სახალხო თეატრში თამოყოლილ, უდავოდ ნიჭიერ კოლექტივთან ერთად ისეთი სპექტაკლები გვიჩვენოს, რომლებიც ღირსეულად მოვესახურება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს.

ერთიც უნდა აღინიშნოს. ეს ახალი სახალხო თეატრი მდებარეობს და მოქმედებს საქართველოს ისტორიული ქარხნების ბაზაზე. მას კომპაქტური და კულტურული მაყურებელი ჰყავს. მას ხელს უწყობენ ამ ქარხნების პარტიული ორგანოები, დირექციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საბჭოების დეპუტატები.

თეატრის გახსნის დღეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღუთქვა სახალხო თეატრის მუშაკებს, რომ გაუწევდა საჭირო დახმარებას. მაგალითად, შიგადაშიგ თეატრის მსახიობებს თეატრალური საზოგადოება მიაგზავნეს მოსკოვსა და ლენინგრადში, მისცემს გრიმებს და გრიმიორებს, შემოქმედებითი დახმარებისათვის გამოყოფს შემოქმედებითს ბრიგადებსა და ლექტორებს. ეს დიდი დახმარებაა, კარგი დაპირებაა.

რასაკვირველია, საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავის დაპირებას შეასრულებს. ჩვენ გვჯერა ისიც, რომ პლეხანოვის კლუბთან გახსნილი ახალი სახალხო თეატრის ნიჭიერი კოლექტივი პირნათლად მოემსახურება კომუნიზმის დიად მშენებლობას.

როდიონ ქორქია.

ეკრანზე არიან შვიდწლედის გმირები

...**ბიერს** მიაპობს საბჭოთა კოსმოსური რაკეტა, სამყაროში აკაშკაშდა ახალი ვარსკვლავი, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს გაზეთები ათავსებენ ცნობას ამ დიდი მოვლენის შესახებ...

ასე იწყება ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების საქართველოს კინოსტუდიის ახალი კინონარკვევი „საქართველოს მრეწველობა შვიდწლედში“, რომელიც გადაიღო რეჟისორმა რ. ჭიაურელმა ნ. ნაკაშიძისა და ნ. ჩერქეზიშვილის სცენარის მიხედვით. ოპერატორია თ. მეგრელიშვილი.

ეს პირველი ნაწარმოებია ფილმების იმ ციკლიდან, რომელიც უნდა გამოუშვან ამ სტუდიის მუშაკებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ მშენებლობათა შესახებ.

ეკრანზე მოჩანს საქართველოს უმშვენიერესი პეიზაჟები. თეთრწვერა გოლიათ მთებს ცვლის აყვავებული ბაღები, კლდიდან კლდეზე მხტომი ჩქარი მდინარეები...

— საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული და სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკაა, — ამბობს დიქტორი — საქართველო ჩვენს დიად სამშობლოს აძლევს ქვანახშირს, მარგანეცს, ფოლადს, თუჯს, დაზგებს, ავტომანქანებს, ელექტროძრავებს, რთულ ელექტროხელსაწყოებს, ყურძენსა და ღვინოს, ჩაის, ციტრუსებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვა მრავალ პროდუქტს. — დიქტორის ყოველ სიტყვას თან ერთვის ამ ფაქტების ამსახველი კადრები.

მთელი ფილმი ამ პრინციპზეა აგებული. გადაღებულია რესპუბლიკის ამსახველი საწარმოები — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, ნაჩვენებია დიაგრამებით ამ საწარმოთა პროდუქციის ზრდა შვიდწლედში.

ფილმში ჩართულია ამიერკავკასიის ელექტროფიკაციის პირმშოს — ზაჰესის მშენებლობა — მოგვითხრობს ამ დიდი ენერგეტიკული ობიექტის ამსახველი უნიკალური კადრები. როგორ განუვითარებელი და ბალი ეიყო ამშენ ჩვენი ტექნიკა. აბა ახლა შეხედეთ დღევანდელი ელექტროსადგურების მშენებლობის სურათებს, ვეებერთელა მანქანები სწრაფად და მოხერხებულად ასრულებენ რთულ სამუშაოებს. ასეთი ტექნიკით საქართველომ ელექტროფიკაციის დარგში მიაღწია დიდ წარმატებებს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა იძლევა რამდენიმე ათეულჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე იძლეოდა მეფის რუსეთი მთლიანად.

მაყურებელი ეცნობა შვიდწლედის მომავალი მშენებლობის სხვადასხვა სურათებს. ფართოდ არის ნაჩვენები ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგი.

კინონარკვევის დასასრულს გადაღებულია შვიდწლედის გმირები, ადამიანები, რომლებიც ქმნიან ჩვენს დოვლათს, ისინი, ვინც იბრძვიან შვიდწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

საქართველოს კინოსტუდიის მუშაკებმა შექმნეს საინტერესო კინოსურათი, რომელიც მაყურებელს ნათელ წარმოდგენას აძლევს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების შესახებ შვიდწლიანი გეგმის მიხედვით.

ლ. ჩუბულური.





კადრები ფილმიდან „საქართველოს მრეწველობა შვიდწლედში“.

ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან თბილისში რამდენიმე დღით სტუმრად ჩამოვიდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი, დოქტორი ევალდ შანკვაილერი. იგი მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში, წაიკითხა მოხსენებები ვილჰელმ ჰუმბოლდტის საენათმეცნიერო შეხედულებათა შესახებ მოსკოვისა და კიევის უნივერსიტეტებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევალდ შანკვაილერმა მოხსენება გააკეთა ვ. ჰუმბოლდტის შესახებ. მას საუბარი ჰქონდა ქართველ ენათმეცნიერებთან ქართულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე. აი რა დაწერა მან გაზეთ „კომუნისტისათვის“.

თგილისი—ახალი ცხოვრების სარკე

— თბილისმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. უწინარეს ყოვლისა უადა აღვნიშნო ის დიდი, ღრმა შთაბეჭდილება, რაც ჩემზე აქ მოახდინა სოციალისტურმა ცხოვრებამ ეკონომიკისა და კულტურის დარგში. მე ბედნიერება ძქონდა გავცნობოდი საქართველოს სსრ ფილოლოგიური მეცნიერების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორიც არიან აკადემიკოსები გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ქ. ლომთათიძეს, უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ევგ. ხარაძეს, უნივერსიტეტის პროორექტორს, პროფ. ს. ქღენტს და პროფესორებს თ. შარაძენიძეს, ჯ. ბერაძეს და გ. ხავთასს. ჩემთვის განსაკუთრებით სასარგებლო და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მე ფილოლოგიის დარგის ამ პატივცემულ მოღვაწეებთან საუბარი მქონდა კავკასიოლოგიისა და მაღალი ქართული კულტურის შესწავლის მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს საუბარი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში სხვა ფილოლოგიურ დისციპლინებთან ერთად სათანადო ადგილი ეთმობა ქართულ-კავკასიურ ფილოლოგიასაც, რომლის წარმომადგენელმა პროფესორმა გერტრუდ პეჩმა ასისტენტ ლიზელოტე ჰერმანთან ერთად გასულ წელს ინახულა თბილისის უნივერსიტეტი და დაამყარა მეცნიერული კავშირი ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის.

ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე დღით სტუმრად ჩამოვიდა ჰოლანდიასაბჭოთა კავშირის საზოგადოების გამგეობის წევრი, ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი კარლ ებელინგი. იგი უკვე მეორედ არის საქართველოში. მას საუბარი ჰქონდა ქართველ ენათმეცნიერებთან, როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის წარმომადგენლებთან. უნივერსიტეტში მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „თანამედროვე მომდინარეობანი დასავლეთის ენათმეცნიერებაში“. მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

ქვემოთ ვბეჭდავთ პროფ. კ. ებელინგის წერილს.

წრფელი გულით, სიყვარულით

ამ მეორედ ვარ საქართველოში, კვლავ მოკლე ხნით, და ამდენად როგორც ტურისტი. მომავალში უფრო დიდი ხნით ვფიქრობ ჩამოსვლას და უკვე როგორც ქართველოლოგიის სპეციალისტი.

გასულ წელს თითქმის ათი დღის განმავლობაში ვეცნობოდი ამ მშვენიერ ქვეყანას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული და მეგობრული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის დაუზარელი დახმარებითა და ხელშეწყობით ახლოს გავეცანი საქართველოს ულამაზეს კუთხეებს და ჩემი თვალით ვიხილე კულტურის ის დიადი განვითარებანი, რაც ასე უხვია თქვენში და ასე მრავლისმეტყველი. ამჟერად კი ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქართველმა ეთნოგრაფიამ, რომელსაც გულმოდგინედ, თუმცა ძალიან მოკლე დროის განმავლობაში, ვეცნობოდი თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალათა მიხედვით.

ჩვენ წრფელი სიყვარული გვაკავშირებს ქართველებთან, ჩემს ქვეყანაში, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლებში, სწორედ ომის მიწურულში, ხომ დაიღვარა მამაცი ქართველების სისხლი. ამ შესაზარ ამბავს „ტექსტელის ტრაგედია“ შეერქვა. ჩვენ ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულს მამაც ქართველთა საძმო საფლავზე ვიხდით. ეს დღე ხომ ღირსშესანიშნავ თარიღად შევიდა ჰოლანდიელი ხალხის ისტორიაში.

უცხოელი მეცნიერები — ქართველოლოგები

პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა ენათმეცნიერის პატივცემული კოლეგის გურამ რამიშვილის მუშაობის გაცნობას, რომელიც, მიუხედავად ჰუმბოლდტის პრობლემატიკის სირთულისა, თავის კვლევა-ძიებაში ღრმა ანალიზის გზით მისულა საინტერესო შედეგებამდე. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ჩვენი უნივერსიტეტების მეგობრული ურთიერთობისათვისაც, რადგან მომავალ 1960 წელს სრულდება ბერლინის უნივერსიტეტის არსებობის 150 წლისთავი; იგი 1810 წელს დააარსა ვილჰელმ ჰუმბოლდტმა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ, ჰუმბოლდტის სამშობლოდან ასე დაშორებულ ქვეყანაში, ჰუმბოლდტოლოგია ასეთ მაღალ დონეზე დგას.

სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა გავცნობოდი საბჭოთა საქართველოს ყველა გრანდიოზულ მიღწევას. ამ დროის განმავლობაში მე ნაწილობრივ გავეცანი კულტურულ ძეგლებს, რომელთა შესახებაც ცოდნა მომეპოვებოდა მხოლოდ სამეცნიერო წყაროების მიხედვით. მეტადრე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ისტორიული მცხეთის არქიტექტურული ხელოვნების მაღალმა კულტურამ. ასევე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჭეშმარიტად ქართულმა ეროვნულმა ოპერამ „დაისმა“, რომლის მუსიკა, კოსტიუმები და ცეკვები ერთგვარ ცოდნას იძლევა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების შესახებ.

ყოველი უცხოელი, რა მცირე ხნითაც უნდა იმყოფებოდეს თბილისში, ხედავს და გრძნობს რაოდენ დიდ შედეგებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ ცხოვრების ყველა დარგში. მე განსაკუთრებით ბედნიერ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ საშუალება მომეცა გავცნობოდი საბჭოთა ქართველი ხალხის მიღწევებს.

ევალდ შანკვაილერი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ეროვნული ენა — ეროვნული კულტურა

ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ეროვნული ენა ეროვნული ფერისცვალებაა, ეროვნული ენა ეროვნული ბუნებაა, ეროვნული ენა ეროვნული ხასიათია, ეროვნული ენა ეროვნული ფსიქეა, ეროვნული ენა ეროვნული ბედია, ეროვნული ენა ეროვნული ბედნიერებაა, ეროვნული ენა ეროვნული ბოროტებაა, ეროვნული ენა ეროვნული ტანჯვაა, ეროვნული ენა ეროვნული ოცნებაა, ეროვნული ენა ეროვნული ფიქრია, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლაა, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის ასპარეზია, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის ასპარეზია, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის ასპარეზია.

ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის ასპარეზია, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის ასპარეზია, ეროვნული ენა ეროვნული ბრძოლის

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ

ᲤᲠᲝᲮᲘᲚᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲚᲘᲠᲣᲚ ᲒᲖᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲘᲢᲧᲣᲔᲑᲔᲜ!

ნიკოლოზ ცუცქირიძე მარგანეცის მაღაროებში მებიგედე მუშაობდა. ძისი ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. სამამული ომი რომ დიწყო, ნიკოლოზი ფრონტზე წავიდა. იმხანად მისი ვაჟი ოთარი ათი-თორმეტი წლისა იყო და სკოლაში სწავლობდა. ომის მძიმე წლებში მარტოხელა დედას გაუჭირდა ბავშვების შენახვა, და ოთარი სკოლას ჩამოშორდა. სასელსონო სასწავლებელი დაამთავრა და ზეინკლად მუშაობდა ჭიათურაში...

ჯერ კიდევ 1935 წელს უკრაინიდან ჭიათურაში შვილებით ჩამოვიდა ანა პრიმაჩენკო. იგი აქ დასახლდა და მუშაობდა. წამოიზარდნენ მისი შვილები ოლია, ანნა, ვალენტინა და პეტრე. ისინიც წარმოებაში ჩაებნენ.

ათი წლის წინათ ვალენტინამ და ოთარმა ერთმანეთი გაიცნეს, ურთიერთს დაუახლოვდნენ, სიყვარული შეფიცეს. 1950 წლის დეკემბერში დაქორწინდნენ და თავიანთი ბედი თითქოს საბოლოოდ დაუკავშირეს ერთმანეთს. ხელისანად და ბედნიერად მიდიოდა დღეები, ახალგაზრდები ნათელ მომავალს შესტრფოდნენ. ოჯახს ახალი სიხარული და ბედნიერება შემატეს ბავშვებმა ვალერიანმა, პავლემ, რევაზმა და ნიკოლოზმა...

ოთარმა ქორწინებამდეც იცოდა, რომ ვალენტინა მორწმუნე იყო, ესწრებოდა ლოცვებს, რომლებიც სექტანტების მეფეურების — ეფრემ სოლიონის, ვასილ ბოგატირისა და ანა პრიმაჩენკოს ოჯახებში ფარულად იმართებოდა. პირველ ხანებში ამ ამბავს ოთარმა ანგარიში არ გაუწია, ვერ გაერკვა მორწმუნე სექტანტების მაგნებლური საქმიანობაში. უფრო მეტიც. ზოგჯერ თვითონაც ესწრებოდა სექტანტების ლოცვა-შეკრებას.

მომქანცველი ლოცვა-ღამისტეხა, მარხულობა, ძლოცველ ქალთა თუ მამაკაცთა ზუზუნი რაღაც შემაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებდა სექტის წევრებზე. ეფრემ სოლიონი და ვასილ ბოგატირი „უქადაგიბდნენ“ მორწმუნე სექტანტებს, თითქოს „ქრისტეს აღდგომის“ ორმოცდამეათე დღეს მორწმუნეებს „სული წმიდა“ გამოეცხადა. და თუ იღოცებენ, შესაძლებელია ყოველ მორწმუნე სექტანტს ანაც გამოეცხადოს „სული წმიდაო“. ისინი უქადაგებდნენ მორწმუნეებს, რომ ადამიანი ამ ქვეყნად ცხოვრობს დროებით, მან არ იცის, რა დაემართება დღეს ან ხვალ, რომ ნამდვილი ცხოვრება არის იმ ქვეყნად, საიქიოში; რომ ადამიანები უნდა ემზადონ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, რომ მორწმუნეებს იქ ელით სამოთხე და ბედნიერება, ხოლო ურწმუნოებს ჯოჯოხეთი, კუპრში წვა. მათი ქადაგებით, თუ სურს სამოთხეში მოხვედეს, მორწმუნემ არ უნდა იაროს კინოში, თეატრში, არ წაიკითხოს წიგნი, ჟურნალ-გაზეთები, მონწილეობა არ მიიღოს დემონსტრაციებში, მიტინგებში, არ დაესწროს კრებებს, არ ჩაებას ნებაყოფლობითს ორგანიზაციებში. სექტანტები მოუწოდებდნენ მორწმუნეებს იცხოვრონ კარჩაკეტილად, მოსწყდნენ ადამიანებს. ისინი უკრძალავენ მათ ბავშვების შეყვანას პიონერთა ორგანიზაციებში, ხოლო სკოლაში ასწავლონ მხოლოდ იმდენი, რაც საჭიროა ბიბლიის წასაკითხავად. მათი აზრით ასეთი ცხოვრება ადამიანის სულს განწმენდს ცოდვებისაგან და იგი სამოთხეში მოხვდება.

სექტანტთა ასეთ ქადაგებას დიდხანს ვერ გაუძლო ოთარ ცუცქირიძემ და გამოვიდა სექტიდან. მან მოსთხოვა თავის მეუღლე ვალენტინასაც დაეტოვებინა სექტა და ეზრუნა ბავშვების მოვლაზე, რომლებიც ლოცვისას ბედის ანაბრად იყვნენ მიტოვებულნი. ზოგჯერ ვალენტინას უფროსი ბიჭუნა ვალერიანიც კი მიჰყავდა ლოცვებზე. ბავშვი უყურებდა ასეთ საშინელებას, რაც მტკიცედ აღიბეჭდებოდა მის მეხსიერებაში, ფსიქიკაში. ყველაფერი ეს ბავშვს ემჩნეოდა სკოლაში, ხოლო ძალში კიდევაც ბოდავდა...

ვალენტინა როდი დაეთანხმა მეუღლის მოთხოვნას, მან გააგრძელა სექტაში სიარული. ოთარი თითქმის ჩამოშორდა ოჯახს, აღარ ეხმარებოდა მას. ამიტომ იყო, რომ 1958 წლის 8 დეკემბრის ახალგაზრდა ცოლქმარი წარსდგნენ ჭიათურის სახალხო სასამართლოს წინაშე. სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. გ. თევზაძე საფუძვლიანად არ გაერკვა მოპასუხეთა მავნე საქმიანობაზე, სამარცხვინო ბოიზე გააკრა მისი მეუღლეები, აღნიშნა, როგორ უშლიან ისინი ხელს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. სიტყვებით გამოვიდნენ ოთარ და ვალენტინა ცუცქირიძეები. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ბ. გოგინაშვილმა, ყ. მურუსიძემ, ა. კვერნაძემ, ვ. ბოლშუნოვმა, გ. მონოხოვმა, ე. ლომპიტინამ, ს. ბოყოველმა და სხვებმა. მკაფიო, დამაჯერებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერულ და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორმა ამხ. ფორაქაშვილმა. მათ სასტიკად დაგმეს, გაკიცხეს სექტანტთა ბინძური, ადამიანთა სულისა და გონების დამასახიჩრებელი საქმიანობა.

ტრიბუნაზე ავიდა ახალგაზრდა გიორგი სოლიონი.

— მე მრცხვენია, რომ ამ დარბაზში არა ერთგზის ცუდად მოიხსენიეს სოლიონების გვარი. მაგრამ რას იზამ, ასეთი შერცხვენა და გულისწყრომა ნამდვილად დაიმსახურა ეფრემ სოლიონიმ, რომელიც სექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი აღმოჩნდა. ზიზღი მის სახელს და მის საქმიანობას!

საზოგადოებრივმა კრებამ კარგად, მომზადებულად ჩაიარა და სათანადო გადაწყვეტილება მიიღო. კრების მსვლელობა კინოფუსკზე აღბეჭდეს.

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ მოისუსტებს პოლიტიკური-აღმზრდელობითი მუშაობა, რითაც სოლიონისა და ბოგატირისთანა თაღლითებს შესაძლებლობა ეძლევათ მოძებნონ ჩამორჩენილი, სუსტი ნებისყოფიანი ადამიანები და აიცდინონ ისინი სწორ გზას, ჩაითრიონ ბინძურ და დასაგმობ საქმიანობაში.

ჯ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 7 დეკემბერი. (საკდესი). 21 ნოემბრიდან ჩეხოსლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იმყოფებოდა საბჭოთა პარტიული მუშაკების დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილის ვ. ი. სნასტინის მეთაურობით. პრაღის გარდა, დელეგაცია იყო ბრატისლავაში, ბრნოში, პლზენში, კოშიცასა და სხვა ქალაქებში, დაათვალიერა სამრეწველო საწარმოები, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, დაწესებულებანი, ეცნობოდა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შრომასა და ცხოვრებას. ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი ყველგან გულითად შეხვედრას უმართავდნენ სტუმრებს.

პარტიულ აქტივებს, საწარმოთა მშრომელებს დელეგაციის წევრები უკითხავდნენ ლექციებს თემებზე: „სკკპ იდეოლოგიური მუშაობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში“, — „სკკპ ბრძოლა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებისათვის კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში“, „სკკპ ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში“ და სხვ. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წევრები და უპარტიო მშრომელნი დიდ ინტერესს იჩენდნენ სკკპ მდიდარი გამოცდილებისადმი, აღტაცებული იყვნენ საბჭოთა ხალხის გრანდიოზული წარმატებებით სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში, გამოთქვამდნენ ურყევ ერთგულებას ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობის იდეებისადმი, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო მიზნებით სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. ლექციების მსმენელნი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ თანამედროვეობის მთავარი მოვლენისადმი — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული მოგზაურობისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონში გაიმართა ბავშვთა გუნდების საერთაშორისო კონცერტი, რომელიც 5 დეკემბერს მოაწყო ლონდონის კოოპერაციული საზოგადოების განათლების საკითხთა კომიტეტმა სენტრალ-ჰოლში (ვესტმინისტერი). კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა ბავშვმა, მიეძღვნა მშვიდობისა და მეგობრობის თემას.

კონცერტის მონაწილენი და მაყურებლები მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელ წერილს, რომელიც წაიკითხა გუნდის დირიჟორმა გრეჰემ გრიჩერმა. წაიკითხეს აგრეთვე ლონდონში ამერიკის საელჩოს მისასალმებელი წერილი.

15 წლის ელენ პარკერმა რომფორდიდან (ესექსი) კონცერტის ყველა მონაწილის სახელით სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲨᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის პირველი კონცერტი. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანზორ კავსაძე.

მაყურებლები ტაშით შეხვდნენ ანსამბლის მიერ შესრულებულ ქართულ სიმღერას „გაერთიანება“, რომელიც ადიდებს ხალხთა კავშირს, ქორეოგრაფიულ დადგმას „ძველი თბილისის ხუროთი“, რუსულ ხალხურ სიმღერას „ეი, უნნემ“, რომელიც რუსულ ენაზე შეასრულეს, უკრაინულ ენაზე შესრულებულ უკრაინულ სიმღერას „ოი, დიენინა, პერეიასლავკა“, სიმღერას „წყაროსთან“, რომელიც ჩეხურ ენაზე შეასრულეს.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ᲛᲔᲥᲘᲙᲝ. ეროვნული აუდიტორიის შენობაში მოთავსებულია მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 16 ათასი ექსპონატი. იგი დაწვრილებით აშუქებს სსრ კავშირის ცხოვრების ყველა მხარეს. ასეთი გამოფენა პირველად ეწყობა არა მარტო მექსიკაში, არამედ მთელ ლათინურ ამერიკაშიც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲝᲗᲘ: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲒ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). 7 დეკემბერს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა ალჟირის საკითხის განხილვა.

დისკუსიაში, რომელიც ზუსტად ერთ კვირას გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღეს 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა. ხმის უმრავლესობით კომიტეტმა მოიწონა აზიისა და აფრიკის 22 ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი. პროექტს ხმა მისცეს 38 ქვეყნის, მათ შორის აზიისა და აფრიკის ქვეყნების და სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს 26 ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სამხედრო ბლოკებში მათი მოკავშირეების დელეგაციებმა. 17 ქვეყნის დელეგაციებმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს, მათ შორის ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა დელეგაციების ნაწილმა, აგრეთვე იაპონიის, ირანის, შვეიცის, ფინეთისა და ლაოსის დელეგაციებმა. საფრანგეთის დელეგაცია არ ესწრებოდა.

რეზოლუცია, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო, გამოხატავს დიდ შეშფოთებას იმის გამო, რომ ალჟირში გრძელდება საომარი მოქმედება, და მიაჩნია, რომ ამ ქვეყნის ახლანდელი ვითარება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. რეზოლუცია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ორივე დაინტერესებულმა მხარემ დაიწყოს მოლაპარაკება იმ პირობების განსაზღვრისათვის, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, აგრეთვე ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის პირობების განსაზღვრისათვის.

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲒᲗᲐᲜ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი დღეღამის განმავლობაში ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაპირებთან მძვინვარებდა ძლიერი შტორმი. ზიანძირა სხვადასხვა ეროვნების რამდენიმე დიდი გემი. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 30-მდე დღემდე არ არის ცნობები მრავალი ათეული წვრილი სათევზაო გემის შესახებ, რომლებსაც ქარიშხალმა მოუსწროო ჩრდილოეთის ზღვასა და ლა-მანშში. ქარიშხლის გამო უდიდესი საოკეანო ლაინერი „კუინ ელიზაბეტი“ მთელი დღეღამის განმავლობაში ვერ შეეიდა საუტჰემპტონის ნავსადგურში. 20-25 მეტრი სიმაღლის უზარმაზარი ტალღები წვდებოდა ზედა გემბანს და სასვლელ ბოგასაც კი. გემი მნიშვნელოვნად დაზიანდა, მგზავრთა შორის არიან დაშავებულნი.

ძლერი კოკისპირული წვიმა მოვიდა ინგლისის სანაპიროზე და მთელ რიგ ადგილებში, კერძოდ დევონშირის საგრაფოში, გამოიწვია წყალდიდობა. მდინარე ექსი ნაპირიდან გადავიდა და წყლით დაფარა ქალაქ ექსეტერის ბევრი უბანი. მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებთან კავშირი ხორციელდება ნავების საშუალებით. დაზიანებულია კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები.

ზღვამ დაბლობა სანაპიროს ფიდი უბნები ეკსმუტსა და ტორკის შუა მდებარე კურორტების რაიონებში. წყლით დაფარულია გზატკეცილები, დაგრეულია მრავალი ნაგებობა.

Д. ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲐᲩᲘᲨᲘ

ᲥᲐᲠᲐᲩᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დღეს ჩამოვიდა ყარაჩში. ხანმოკლე ოფიციალური ვიზიტით.

ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესის კორესპონდენტი გ. გურიანოვი იუწყება:

აქ გრძელდება მშვიდობისათვის მებრძოლ დასავლეთგერმანელთა სამარცხვინო გასამართლება. საბრალდებო სკამზე სხედან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ერვინ ეკერტი და ვალტერ დიბონის იუსტიცია დიუსელდორფსა და დორტმუნდში აწყობს მშვიდობისათვის გერმანელ მებრძოლთა გასამართლებას. (გაზეთებიდან)



ᲑᲝᲜᲘᲡ „ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔ.

ნახ. მ. ოთაროვისა.

ლი, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის წევრები პასტორი იოჰანეს ობერჰოფი, გერჰარდ ვოლრატი, გუსტავ ტიფეფი და ერიხ კომპალა. მათ სახელზე კვლავ მოდის ასობით წერილი და დეპეშა დასავლეთ გერმანიის, აგრეთვე სხვა ქვეყნების მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისა და დეპუტატების ავტორები სოლდარობას უცხადებენ მშვიდობისათვის მებრძოლ დასავლეთგერმანელებს, გამოთქვამენ აღშფოთებას მათი უკანონო გასამართლების გამო და მოითხოვენ შეწყდეს სამარცხვინო გასამართლება. ბევრ წერილს დართული აქვს ნებაყოფლობითი ფულადი შეწირულება მშვიდობისათვის მებრძოლთა დაცვის ფონდში. მაგალითად, ჰანოვერელი პენსიონერი კლიუვერი თავის წერილში წერს, რომ უკანასკნელ ომში დაიღუპა მისი ოჯახის ყველა წევრი და რომ თვითონ იგი ცხოვრობს 90 მარკა პენსიით თვეში. კლიუვერის წერილს დართული აქვს 10 მარკა მშვიდობისათვის მებრძოლთა დაცვის ფონდისათვის.

სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე გრძელდებოდა ეგრეთწოდებული „ბრალდების მასალების“ კითხვა. მოსამართლენი რიგრიგობით კითხულობდნენ დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის, რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და საზოგო ხელშეკრულების დადებისათვის ხალხის გამოკითხვის მომწყობი კომიტეტის სხვადასხვა მოწოდებასა და მიმართვას, აგრეთვე ამონაწერებს ბრალდებულთა გამოსვლებიდან და სტატიებიდან.

ბრალდებულნი ეკერტი, ობერჰოფი, ვოლრატი და დილი, რომლებმაც დღეს პროცესზე მოკლე შენიშვნები გააკეთეს წაკითხული მასალების გამო, აღნიშნავდნენ, რომ ეს მასალები ადასტურებენ მათ აშკარა და კანონიერ საქმიანობას მშვიდობის დასაცავად და არ გამოდგებიან „საბრალდებო დოკუმენტებად“, როგორც ეს სურს პროკურატურას.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები კვლავ პროტესტს აცხადებენ მშვიდობისათვის მებრძოლ დასავლეთგერმანელთა სამარცხვინო გასამართლების წინააღმდეგ დიუსელდორფში.

თავისუფლება მეინჰოს დასავლეთ გერმანიის მშვიდობის დაცვის მოძრაობის მოღვაწეებს, შეწყდეს დიუსელდორფის პროცესი, ბოლო მოეღოს „ცივი ომის“ პოლიტიკას — ასეთია გერმანიის დემოკრატ იურისტთა გაერთიანების გამგეობის მოთხოვნები.

ᲣᲞᲝᲤᲘᲚᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡᲔᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონში დაიწყო მოლაპარაკება ბუნდესვერის დელეგაციასა (სამი ყოფილი ჰიტლერელი გენერლის შემადგენლობით) და ინგლისის თავდაცვის სამინისტროს შორის. მოლაპარაკების დროს განიხილავენ ნატოს შეიარაღებული ძალებისათვის ტანსაცმის ერთობლივი წარმოების გეგმებს.

აკრიტიკებს რა ინგლისის მთავრობის ამ მოქმედებას, გაზეთი „დეილი ტორკერი“ აღნიშნავს, რომ ამჟამად „საჭიროა მოლაპარაკება, რომ მოხდეს ზარბაზნების ლიკვიდაცია და განმტკიცდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობა“. შეიარაღების საკითხთა განხილვა ინგლისის „ყოფილ და მომავალ პოტენციურ მტრებთან“, განაგრძობს გაზეთი, მიმართულია მშვიდობის წინააღმდეგ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ **ლონდონიდან მიღებული ცნობით, ინგლისის რკინიგზელთა ეროვნული პროფკავშირის აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია ორი კომუნისტი — ბაროლდ ლი და ჯეიმს ოლდერი. ისინი არჩეული არიან სამი წლის ვადით.**

◆ **ბულგარელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ბულგარელი პოეტისა და რევოლუციონერის ნიკოლა ვაპცაროვის დაბადების 50 წლისთავი, რომელიც 1942 წელს დაბვრიტეს ფაშისტებმა.**

ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 7 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ამერიკა-თურქეთის ერთობლივი კომუნიკე. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის მოლაპარაკების შესახებ თურქეთის პრეზიდენტ ბაიართან და პრემიერ-მინისტრ მენდერესთან. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში მოხდა აზრთა ყოველმხრივი გაზიარება მრავალ საკითხზე, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ ორი ქვეყნისათვის.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს „შეიქმნას ატმოსფერო, რომელსაც მოპყვებოდა დაძაბულობის რეალური შენელება მთელ მსოფლიოში“. ეიზენჰაუერი და ბაიარი აღნიშნავენ, რომ ამ შენელებას „საფუძვლად უნდა ედოს სამართლიანობა, თანასწორობა და უნდა ხორციელდებოდეს საპირო გარანტიებით“. ორივე მხარე დათანხმდა აგრეთვე, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, თუ იქნება კონტროლისა და ინსპექციის ეფექტიანი სისტემა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და თურქეთის პრეზიდენტმა „სასარგებლოდ“ ცნეს თანამშრომლობა სამხედრო კავშირების — ნატოსა და სენტოს ფარგლებში.

როგორც კომენიკეს ტექსტიდან ჩანს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ზორლუს მიერ გამოთქმული სურვილი სენტოსთან არასრულუფლებიან წევრად ამერიკის შეერთებული შტატების შეერთების შესახებ არ ასახულა ამერიკა-თურქეთის მოლაპარაკების შედეგებში. ამასთან დაკავშირებით აქ ყურადღებას მიაქცევენ ზორლუს განცხადების უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისადმი ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინ, რომელშიც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობა მოითხოვს, რომ შეერთებული შტატები გახდნენ სენტოს აქტიური წევრი.

კონკრეტულად არ გადაჭრილა აგრეთვე თურქეთისადმი ამერიკის ეკონომიური დახმარების გადიდების საკითხი. როგორც ცნობილია, თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის ჩამოსვლამდე დაბეჯითებით უსვამდნენ ხაზს, რომ მოლაპარაკების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი იქნება თურქეთისადმი ამერიკის დახმარების გადიდების საკითხი. ამ ბოლო დრომდე თურქეთის ყოველგვარ ცდას მიეღწია ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ თურქეთის ეკონომიური განვითარების გეგმების დაფინანსების გაფართოებისათვის თანაგრძნობით არ გამოხმაურებიან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში და ძირითადად ამერიკის დახმარება თურქეთისადმი ხმარდებოდა სამხედრო მიზნებს.

ამერიკა-თურქეთის კომუნიკე სჯერდება მხოლოდ ზოგად მოსსენიებას, რომ „პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოიჩინა თურქეთის სახელმწიფოს ეკონომიური და სოციალური მიზნების გაგება“ და გამოთქვა რწმენა, რომ შეერთებული შტატები „კვლავ გაუწევენ დახმარებას თურქეთს“.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ **ლონდონიდან მიღებული ცნობით, ინგლისის რკინიგზელთა ეროვნული პროფკავშირის აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია ორი კომუნისტი — ბაროლდ ლი და ჯეიმს ოლდერი. ისინი არჩეული არიან სამი წლის ვადით.**

◆ **ბულგარელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ბულგარელი პოეტისა და რევოლუციონერის ნიკოლა ვაპცაროვის დაბადების 50 წლისთავი, რომელიც 1942 წელს დაბვრიტეს ფაშისტებმა.**

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲠᲘᲒᲐ, 8 დეკემბერი. (საკდესი). საერთაშორისო საბადრაკო ტურნირზე, რომელიც მიმდინარეობს დევიზით: „ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვაა“, გთამაშდა სამი ტური.

კვლავ ყურადღების ცენტრში იყო სპასკი-ტალის პარტია. მათ შორის წინათ გთამაშებული სატურნირო შეხვედრების ჯამს ჭკონდა ორი ქულის უპირატესობა ლენინგრადელი გროსმაისტერის სასარგებლოდ. ამიტომ მრავალი გულშემატკივარი, რომელიც თამაშს ადევნებდა თვალყურს, მოელოდა რიგელის გადამწყვეტ რევანშს. მაგრამ სპასკიმ დიდებულად მოიგერია ტალის ყველა იერიში და ლაზიერების გაცვლის შემდეგ უფრო აქტიური პოზიცია მოიპოვა. პარტია გადაიდო ლენინგრადელის წარმატების შანსით.

მესამე გამარჯვება ზედიზედ მოიპოვა ტურნირში ტემნერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რომელიც ეთამაშებოდა ვიტკოვსკის (პოლონეთი). ლატვიელმა ოსტატებმა გიფსლისმა და კლიავინშმა მოუგეს ფრანკს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და ო